ექვთიმე კოჭლამაზაშვილი

ისევ არმათიონის შესახებ

კადმოსის მე-6 ტომში (2014 წ.) დაიბეჭდა ჩემი სტატია – „არმათიონის წმიდა გიორგის ეკლესიის სახელწოდების განმარტებისათვის (ჰაგიონიმიკური შენიშვნა)“ (გვ. 369-375), რომელიც წარმოადგენს რამდენადმე გადამუშავებულ ვარიანტს ჩემივე ადრინდელი ნაშრომისა – „საქართველოს ტოპონიმიაში შემორჩენილი ერთი ბერძნული წარმომავლობის სახელის განმარტებისათვის (არმათიონი)“[1].

ეს იყო ჩემი პირველი პუბლიკაცია, თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ მათემატიკურ თემაზე დაწერილ ერთ სტატიას, რომელიც სტუდენტობის დროს, 1969 წელს გამოვაქვეყნე.

ქიზიყის სოფელ ზემო მაჩხაანში მდებარე არმათიონის წმინდა გიორგის ეკლესიის სახელწოდებით ჯერ კიდევ ბავშვობისას დავინტერესდი. ეს სოფელი ჩემი მშობლიური სოფლიდან – ქვემო ბოდბიდან სამიოდე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ოჯახური საჭიროებებისათვის იქ საკმაოდ ხშირად მიხდებოდა ყოფნა, და, ბუნებრივია, ადგილობრივ ტოპონიმიას ზედმიწევნით ვიცნობდი. იმთავითვე მსმენოდა ბოდბელ და მაჩხაანელ მოხუცებულთა გადმოცემა, რომ არმათიონის ეკლესიაში გიორგობის დღესასწაულს მხოლოდ შემოდგომაზე, 10 ნოემბერს აღვნიშნავდითო (ძვ. სტილით). მათივე დაკვირვებით, გიორგობა მხოლოდ ამ დღეს იზეიმებოდა ძველი გავაზის წმიდა გიორგის ეკლესიაშიც, სხვა ეკლესიებში კი გიორგობას წელიწადში ორჯერ – 23 აპრილსა და 10 ნოემბერს დღესასწაულობენო.

რადგან არმათიონის წმინდა გიორგის ეკლესიას ამავე წმიდის სხვა ეკლესიებისაგან განასხვავებდა 10 ნოემბრის მოსახსენებლის ხაზგასმა, მისი განსხვავებული სახელწოდება (არმათიონი) სადღესასწაულო დღის განსხვავებულობის ამსახველად მივიჩნიე. მაგრამ რით უკავშირდებიდა ტერმინი „არმათიონი“ 10 ნოემბრის მოსახსენებელს, ჩემთვის გაუგებარი იყო.

მოგვიანებით კ. კეკელიძის ნაშრომებით, რომლებშიც იგი 10 ნოემბრის გიორგობის უძველესი წარმომავლობას ეხება (VII საუკუნის „იერუსალიმური განჩინებისა“ და X საუკუნის მოღვაწის იოანე-

1 ჟურნ. *ჯვარი ვაზისა*, № 3. 1989, გვ. 80-83.

ზოსიმეს კალენდრის საფუძველზე), გავეცანი გიორგი მთაწმიდელის ცნობასაც ამ დღესასწაულის შესახებ. მის მიერ თარგმნილ დიდ სვნაქსარში 10 ნოემბრის დღესასწაული ასე მოიხსენიება: „წმიდისა მოწამისა გიორგისი ურმის თუალსა შესლვაჲ, რაჟამს დაჰკრეს იგი ურმის თუალსა“, რასაც მოსდევს შენიშვნა: „წმიდანო მამანო, ამას დღესა დაღაცათუ ბერძენნი წმიდისა გიორგისთჳს არა დიად დღესასწაულობენ, არარაჲ არს ყენებაჲ, რაჲთა ჩუენ ვდღესასწაულობდეთ, რამეთუ ჩუენ პირველითგან ესრეთ გუაქუს ჩუეულებაჲ“.[2]

მაშასადამე, გიორგი მთაწმიდელის უწყებით, 10 ნოემბერი ურმის თვალზე წმიდა გიორგის წამების მოსახსენებელი დღე ყოფილა, „პირველითგან“ (ესე იგი უძველესი დროიდან) განწესებული. ამჟამად (ე. ი. გიორგი მთაწმიდელის დროს, XI ს-ში) ბერძნები მას დიდი ზეიმით აღარ აღნიშნავენ, მაგრამ 10 ნოემბრის დღესასწაულობას არავითარი დაბრკოლება არ ეღობება, რადგან ეს ჩვეულება ძველი დროიდან გვაქვსო.

გიორგი მთაწმიდელის უწყება, თითქოს 10 ნოემბერი ურმის თვალზე წმიდა გიორგის წამების მოსახსენებლად ყოფილა განწესებული, ჩვენთვის ცნობილ არც ერთ სხვა ძველ წყაროში არ დასტურდება. კ. კეკელიძის გამოკვლევით, 10 ნოემბერს იდღესასწაულებოდა არა ურმის თვალზე წმ. გიორგის წამება, არამედ სწორი ლუდიის ეკლესიის განახლების დღესასწაულისა, რომელიც 3 ნოემბერს ყოფილა დადებული. იმაზე კი აღარაფერი უთქვამს მკვლევარს, თუ რას ეფუძნებოდა გიორგი მთაწმიდელის თავდაჯერებული მტკიცება – 10 ნოემბერი ურმის თვალზე წმ. გიორგის წამების დღეაო.

1989 წელს „ჯვარი ვაზისაში„ დაბეჭდილ სტატიაში ერთმანეთს დავუკავშირე ერთი მხრივ, 10 ნოემბრის დღესასწაულის შინაარსი, როგორც მას გიორგი მთაწმიდელი განგვიმარტავს (სახელდობრ, ურმის თვალზე წამება წმიდა გიორგისა), და მეორე მხრივ – სახელწოდება იმ ეკლესიისა („არმათიონი“), რომელშიც, გადმოცემით, სწორედ ამ დღეს (10 ნოემბერს) იდღესასწაულებოდა წმიდა გიორგის ხსენება განსაკუთრებული პატივით. რადგან „არმათიონი“ ჟღერადობით ახლოსაა ბერძნულ „არმა//არმატოსთან“, რაც „ურემს“ ნიშნავს, იგი მისგან მომდინარედ მივიჩნიე, და, დავასკვენი, რომ ისტორიული სინამდვილის ამსახველი ყოფილა გიორგი მთაწმიდელის დიდი სვინაქსარის კალენდარული ცნობა ურმისთვალზე წმიდა გიორგის წამების მოსახსენებლად 10 ნოემბერს დაწესებული საეკლესიო დღესასწაულის არსებობის შესახებ.

ეჭვს იწვევდა მხოლოდ ის ფაქტი, რომ ბერძნული „არმა//არ-

2 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, ნაკვ. I, გვ. 90.

მატოსი“ ქართული „ურმის“ შესატყვისია და არა „ურმისთვლისა“ (ანუ ბორბლისა), რომელსაც ბერძნულში „ტროხოს“ შეესაბამება. ეს წინააღმდეგობა საკმარისი იყო იმისათვის, რომ „არმათიონისა“ და „არმატოსის“ ურთიერთმსგავსი ჟღარადობა შემთხვევით მოვლენად მიმეჩნია, და „არმათიონის“ ეტიმოლოგია სხვაგან მეძებნა, მაგრამ რადგან „არმატოსთან“ მისი დაკავშირება გიორგი მთაწმიდელის კალენდარული ცნობის უტყუარობის განმამტკიცებელ საბუთად მოჩანდა, ზემოაღნიშნული „მცირედი“ დაბრკოლება არად მივიჩნიე.

საეჭვო ვარაუდზე დაფუძნებული დასკვნა ამაზე არ შეჩერებულა. ორიოდე წლის ინტერვალით მან განვითარება პოვა ერთ საგაზეთო სტატიაში, რომელსაც ვინმე ევ. ქლოველი აწერდა ხელს.[3] ავტორს სავსებით გაუზიარებია ჩემი სტატიის დასკვნები და ახალი არგუმენტაციით ეცადა მათ განმტკიცებას.

ევ. ქლოველის წერილის პირველი ნაწილი ეთმობოდა ჩემი არგუმენტაციის გადმოცემას, რისთვისაც დაურთავს დასკვნა: „მაშასადამე, ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფას შემოუნახავს არა მარტო წმიდა გიორგის ურმის თვალზე წამების ხსენება, არამედ ამ დღესასწაულის გამომხატველი ბერძნული ტერმინიც – არმათიონის წმიდა გიორგი“.

ამის შემდეგ ავტორი ცდილობს, მსგავსი ჟღერადობა დაინახოს „არმათიონ“ და „არმაზ“ სახელებს შორის, რასაც იგი მთვარის წარმართული ღვთაების თაყვანისცემისა და წმიდა გიორგის ქრისტიანული კულტის ურთიერთდაკავშირების ივ. ჯავახიშვილისეულ მოდელთან მიჰყავს: „ყურადღებას იქცევს „არმათიონის“ დაკავშირება „არმაზთან“. არმაზი ისტორიული ტრადიციით („ქართლის ცხოვრება“), ქართული წარმართული პანთეონის უზენაეს ღვთაებად იყო მიჩნეული. დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი კი, როგორც ვიცით, ასეთ ღვთაებად მთვარეს მიიჩნევდა.

ყველასათვის ცნობილია ივანე ჯავახიშვილის ჰიპოთეზა ქართული წარმართული პანთეონის უზენაესი ღვთაების – მთვარის თაყვანისცემასა და ქრისტიანი წმიდანის – მთავარმოწამე გიორგის კულტს შორის ტიპოლოგიური კავშირის შესახებ.

ამ ჰიპოთეზას ხშირად უნდობლად ეკიდებიან, მაგრამ მის სასარგებლოდაც არაერთი საყურადღებო არგუმენტი წამოაყენეს უკანასკნელ ხანებში.

როგორც ცნობილია, მეცნიერებაში უკვე საკმაოდაა გავრცელებული თვალსაზრისი ქართული წარმართული პანთეონის უზენაესი ღვთაების – არმაზისა და მთვარის კულტის იგივეობის შესახებ. ასეთი

3 ევ. ქლოველი, მთავარმოწამეობა: გაზ. *თავისუფალი საქართველო*, № 44 (49), 1991 წ., გვ. 1.

ვარაუდი პირველად გამოთქვა აკად. შალვა ამირანაშვილმა. შემდეგ ა. ბოლტუნოვამ ხეთურ მასალაზე დაყრდნობით დაამტკიცა არმაზის (მთვარს კულტის) მცირეაზიური (ხეთური) წარმომავლობა (ხეთურ პანთეონში, როგორც ვიცით, არმა – მთვარის ღვთაება იყო).

მკვლევარის შედეგები გაიზიარეს ცნობილმა მეცნიერებმა: გ. მელიქიშვილმა, კ. გრიგოლიამ, გ. გიორგაძემ, ა. აფაქიძემ...

არმაზის კულტის რაობის გასაგებად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ითრუჯანის ვინაობის დადგენას.

აკად. კორნელი კეკელიძემ წმიდა ნინოს ცხოვრებაში დაცული ცნობების საფუძველზე გამოარკვია ითრუჯანის ეტიმოლოგია (კ. კეკელიძე, ეტიუდები... I, 266-270). ითრუჯანი, როგორც ვიცით, ქალდეველთა ღმერთადაა მოხსენებული ქართულ საისტორიო წყაროებში. არმაზის კერპის დამსხვრევის შემდეგ მირიან მეფესა და მის თანმხლებთ ასე განუმარტავთ ეს ფაქტი: „ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან და ჩუენი ესე ღმერთი არმაზ ყოვლადვე მტერ არიან. ამან სამე მას ზედა ზღუა მოაქცია, და აწ მან შური იძია და მის მიერ მოიწია ესე“. როგორც კ. კეკელიძემ დაასკვნა, არმაზის კერპის დალეწვა ჭექა-ქუხილსა და მეხისტეხას გამოუწვევია, ამის შემძლებელი ითრუჯანი კი, თავისი ბენებით, – ცეცხლთან წილნაყარი, ცეცხლის ღვთაება უნდა ყოფილიყოო (ე. ი. ცეცხლთაყვანისმცემელთა ატროშანი).

თუ ამავე მეთოდით გამოვიძიებთ არმაზის საღმრთო ბუნებას, დავრწმუნდებით, რომ იგი მართლაც მთვარის ღვთაებაა. მან, მირიან მეფის სიტყვით, ითრუჯანზე (ცეცხლზე) ზღვა მიაქცია. ზღვის მიმოქცევას კი, როგორც ცნობილია, მთვარე (მისტიკური გაგებით – მთვარის ღმერთი) განაგებს“.

ამის შემდეგ პუბლიკაციის ავტორი სვამს კითხვას: „რამ გამოიწვია ქრისტიანი წმიდანის – გიორგი მთავარმოწამის დაკავშირება წარმართული პანთეონის უზენაეს ღვთაება მთვარესთან (არმაზთან)?“ – და იქვე პასუხობს:

„უნდა ითქვას, რომ წმიდა გიორგის თაყვანისცემასა და მთვარის წარმართულ კულტს შორის კავშირი რიტუალურ მხარეს ვერ გასცდებოდა. წმიდა გიორგისა და მთვარის გასაიგივებლად არავითარი საფუძველი არ ექნებოდათ ქრისტიან ქართველებს.

მაშ რამ გამოიწვია მათ კულტებს შორის ის რიტუალური მსგავსება, რომლის ნაშთებზე დაკვირვებითაც წამოაყენა ივანე ჯავახიშვილმა ჰიპოთეზა წმიდა გიორგის კულტად მთვარის თაყვანისცემის გარდასახვის შესახებ?

ვფიქრობთ, ამის ახსნის შესაძლებლობას გვაძლევს მთავარმოწამე გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული.

როგორც გამოირკვა, არმაზის კერპი – მთვარის ღვთაების ანთროპომორფული გამოსახულება ყოფილა (არმა, როგორც ვთქვით, ხეთური წარმოშობის მთვარის ღვთაებაა). ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების პირველ ხანებში, საფიქრებელია, არმაზის სახსენებელი ერთბაშად არ მოისპობოდა. არმა (არმაზი) ქართველთათვის ერთხანს კიდევ დარჩებოდა მშობლიურ სიწმინდედ.

და აი, ქრისტიანულ ეკლესიას საქართველოში შემოაქვს ხსენება წმიდა დიდი მოწამის გიორგისა (+303 წ.), რომლის ერთ-ერთ დღესასწაულს არმათიონი (ბერძნ. ურმის თვალზე წამება) ჰქვია. მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ ხალხური ეტიმოლოგიით „არმათიონი წმიდა გიორგი“ არმას (ე.ი. არმაზის) მხედრობის წევრად გააზრებულიყო. -იონ სუფიქსი, როგორც ვიცით, წარმომავლობის მაჩვენებელია (შდრ.: შატილიონი, არხოტიონი, როშკიონი, საყდრიონი, მხედრიონი და ა. შ.). „არმათიონის“ დაბოლოება (-იონ) იმავე ფუნქციის მქონედ შეიძლებოდა გააზრებულიყო („არმათიონ“, ე. ი. არმას მიმდევარი).

ამგვარად, არმათიონი, შესაძლოა, ხალხურმა ცნობიერებამ ძველი წარმართული კერპის – არმას (არმაზის) სახელს დაუკავშირა, და, ბუნებრივია, რომ „არმათიონი წმიდა გიორგისათვის“ იგივე პატივი მიეგო, რასაც ადრე წარმართულ კერპს („არმას“ ანუ არმაზს) მიაგებდა ხოლმე“.

როგორც ვხედავთ, ჩემი სტატიის დასკვნები ევ. ქლოველს ახალი თეორიის ასაგებად გამოუყენებია. სამწუხაროდ, საეჭვო ვარაუდზე დაფუძნებული ახალი ვარაუდები კიდევ უფრო ნაკლებად დამაჯერებელი გამოვიდა; ასეთია, სახელდობრ, ტერმინ „არმათიონის“ საფუძველზე წმიდა გიორგის კულტის დაკავშირება არმაზის (=მთვარის) კულტთან.

იმავე წელს, როდესაც ევ. ქლოველის წერილი გამოქვეყნდა, არმათიონის თემა მხატვრულ ლიტერატურაშიც გაჟღერდა. ჟურნალ „კლდეკარში“ (1991 წ., №2) დაიბეჭდა ერთი თავი გიორგი ნატროშვილის წიგნიდან – „საქართველო მათ გადაარჩინეს“. ამ თავში, რომლის სათაურია „თეთრი გიორგი და არმათიონი“, წიგნის ერთ-ერთი პერსონაჟი, მოხუცი შიოლა, თავის შვილიშვილებს აცნობს საკუთარ ვარაუდებს (თუ „მისტიკურ ხილვას“, როგორც თვითონვე უწოდებს) სოფელ ზემო მაჩხაანის არმათიონის ეკლესიის შესახებ. თუ ფრაგმენტის მიხედვით განვსჯით, მწერლის წიგნი – „საქართველო მათ გადაარჩინეს“ – სამოგზაურო-მხარეთმცოდნეობითი ხასიათის მხატვრული ნაწარმოები უნდა იყოს, რომლითაც ავტორს მიზნად დაუსახავს, ბავშვებისათვის მისაწვდომი ფორმით გადმოსცეს საქართველოს ისტორიის ზოგიერთი ბუნდოვანი საკითხი.

ჟურნალში საჭაშნიკოდ გამოტანილი თავი ამ მხრივ, სამწუხაროდ, უკმარისობის გრძნობას აღგვიძრავს.

მოხუცი შიოლა, ქართულის მასწავლებელი, ხირსის მონასტრის დათვალიერებისას შემთხვევით დაინტერესებულა ზემო მაჩხაანის არმათიონის ეკლესიით („მასპინძელთაგან ვიღაცამ არმათიონის ეკლესია ახსენა...“), მისი რაობის გაგების მიზნით ჩაღრმავებია ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიას“, ჟურნალ „ვესტნიკ დრევნეი ისტორიის“ რომელიღაც ტომს,[4] და დაუსკვნია: „არმათიონი“ – არმაზის, მთვარის ღმრთეების სალოცავი ყოფილა, და რაკი ქართველთა ეს მთავარი ღმრთეება „ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ წმინდა გიორგის შეუცვლია“ (ჟურნ. „კლდეკარი“, 1991, №2, გვ. 200), ამიტომაც ამ ადგილას მოგვიანებით წმინდა გიორგის ეკლესია აუშენებიათო.

შიოლა პაპას ფანტაზია უფრო შორს მიდის: იგი „გონების თვალით გასცქერის მდუმარე მარადიულობას“, და ზემო მაჩხაანის არმათიონი რატომღაც იმ სამლოცველოდ („არმას“, მთვარის საკერპოდ, „არმაზის ნიშად“) ესახება, რომელსაც სტრაბონი ალბანეთის აღწერისას ახსენებს. მოხუცს არ ენაღვლება, თუკი მისი ასეთი თვალსაზრისი ვინმე „მისტიკურ ხილვად“ მიიჩნია (!). აკი აივანზე თავმოყრილ შვილიშვილებს თამამად უცხადებს: „დაუძახეთ ამას, თუ გნებავთ, მისტიკური ხილვა, არ დავეძებო“ (ჟ. „კლდეკარი“, იქვე, გვ. 201).

საინტერესოა, რომ ამ საგანზე (არმათიონის შესახებ) შიოლა პაპას „სხვა ვარაუდიც“ სმენია: „რაკიღა არმა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ურემს, ხოლო წმინდა გიორგი ერთ-ერთი წამების დროს ურმის ბორბალს დააკრეს, ამ ამბის აღსანიშნავად უწოდესო ზემო მაჩხაანის ეკლესიას არმათიონი“. ამ ვარაუდის საწინააღმდეგო მოხუცს არაფერი აქვს, მაგრამ საკუთარი ვარაუდის საფუძვლიანობაც შთამბეჭდავად ესახება (მისი ვარაუდი, როგორც ვთქვით, – ესაა „არმათიონის“ მომდინარეობა ხეთური „არმა“-დან, ანუ არმაზიდან). „ხეთურ ვარაუდსაც თავისი დასაბუთება აქვს და ბერძნულსაცო“, – ასკვნის იგი.

ერთი სიტყვით, წიგნის პერსონაჟს, და, ბუნებრივია, ავტორსაც, ჩემი და ევ. ქლოველის ვარაუდებზე დაუფუძნებიათ კიდევ უფრო ნაკლებად დამაჯერებელი ვარაუდები.

„არმათიონის“ გაგებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ტენდენცია გაჩნდა ახლახან, ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილის სტატიაში – „არმათიონის წმ. გიორგისა და 10 ნოემბრის გიორგობისათვის“ (იბეჭდება წინამდებარე კრებულში). მკვლევარი გამოთქვამს საკმაოდ და-

4 იგულისხმება 1949 წლის № 2, ა. ბოლტუნოვას სტატია (გვ. 236-240), რომელიც გაკვრით იყო მინიშნებული ევ. ქლოველის წერილში.

მაჯერებელ ვარაუდს, რომ ზემო მაჩხაანის არმათიონის წმ. გიორგის ეკლესიის სახელწოდება უნდა უკავშირდებოდეს არა ურმის თვალზე მისი წამების მოსახსენებელს, არამედ პალესტინის ქალაქ არიმათიის წმიდა გიორგის ეკლესიას და მისსავე სასწაულთმოქმედ ხატს, რომლის კულტი XVII-XVIII სს-ში უნდა იყოს გადმოტანილი საქართველოში ათონის მთიდან.

მართალია, დაბეჯითებითი მტკიცებისათვის ამ ვერსიის დამადასტურებელი პირდაპირი საბუთები არ არსებობს, მაგრამ მკვლევრის მსჯელობაში წინააღმდეგობები არ შეინიშნება და, პირიქით, ნდობით განგვაწყობს, რასაც ვერ ვიტყვით ბერძნულ „არმასთან“ არმათიონის ჩემეულ დაკავშირებაზე, და იგი ავტორმა სავსებით მართებულად უკუაგდო.

იმისათვის, რათა ნ. ნიკოლოზიშვილის ვარაუდი უფრო მყარ არგუმენტაციას დაეყრდნოს, ვფიქრობთ, სასურველი იქნება ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება. სტატიის ავტორი გვპირდება კიდეც, რომ იზრუნებს ამ თემის შემდგომი დამუშავებისათვის, სახელდობრ, ენბიგლონის რაობის განსაზღვრისათვის. ვიმედოვნებთ, რომ ამ კვლევის შედეგები მეტ სიცხადეს შეიტანს არმათიონის რაობის საკითხშიც.

კიდევ ერთი პრობლემა, რაც უთუოდ გადასალახავია ნ. ნიკოლოზიშვილის კვლევის კონტექსტში, ესაა 10 ნოემბრის დღესასწაულის გიორგი მთაწმიდელისეული ინტერპრეტაცია. რადგან ჩვენი ძვირფასი კოლეგა, კ. კეკელიძის კვალდაკვალ, არ ეთანხმება ამ დღესასწაულის რაობის გიორგი მთაწმიდელისეულ ახსნას, სასურველია, გამოიკვლიოს, რას ემყარებოდა ეს დიდად განსწავლული მთაწმიდელი მოძღვარი, როცა 10 ნოემბრის გიორგობას ურმის თვალზე წამების დღედ მიიჩნევდა. განგებ ყალბისმქმნელობას ან უსაფუძვლო ფანტაზიებს ვერ დავაბრალებთ მამა გიორგის. და თუ ამ შემთხვევაში შეცდა, გამოსარკვევი გვექნება, რა გახდა მისი შეცდომის წყარო.

თუ ამის გამორკვევა მოხერხდა, დიდად მოხარული ვიქნებით. მაგრამ უამისოდაც, იმ წვლილისათვის, რაც ნ. ნიკოლოზიშვილმა არმათიონის კვლევის საქმეში შეიტანა, ჩვენგან გულწრფელ მადლობას იმსახურებს.

DEBATES

Avtandil Okrostsvaridze

5000-Year History of Gold Extraction from Sakdrisi Deposit? Discussion Based on Multidisciplinary Investigation

Based on multidisciplinary analysis, the article discusses whether it was possible to extract gold from the Sakdrisi hydrothermal ore deposit (Caucasus, Georgia) 5000 years ago, as argued in a number of recent publications (Stollner et al., 2008; Hauptmann, Klein, 2009; Ghambashidze et al., 2010; Stollner et al., 2014). In order to establish the validity of their assertions, the author has studied and researched the oldest metallurgical centers in Caucasus, history of archaeological studies of Sakdrisi mine, method of radiocarbon (^{14}C) dating, geological type of Sakdrisi deposit, types of gold mineralization, methods of gold extraction from ore deposits and their history. The results obtained are analyzed from two perspectives: 1. the possibility of extracting gold from the hydrothermal ores at the turn of the 4th-3rd millennium BC) and 2. the reliability of results obtained through radiocarbon dating for the Sakdrisi mine (^{14}C).

The paper argues that the above-mentioned publications have not dealt with the question of gold extraction from the Sakdrisi deposit on a sufficiently strict professional level. It explains in detail that gold mining from deposits of the Sakdrisi type is only possible by chemical or biological methods, which were discovered in a considerably later period, and therefore, could not have been used earlier. The paper points out that the charcoal found in the Sakdrisi mine has already been contaminated due to a number of factors, and consequently all the results of the radiocarbon dating is to be considered wrong in any case. Taking into account the geological and mining data and the established unreliability of radiocarbon dating, the paper excludes the possibility of gold extraction from Sakdrisi hydrothermal ore deposit at the turn of the 3rd Millennium BC.

Keywords: Sakdrisi mine, hydrothermal deposit, gold extraction, radiocarbon method (^{14}C).

Niko Nikolozishvili

On Saint George of Armathioni and Saint George's Day on November 10th

The paper discusses the origin of a name *Armathioni*, by which a small church of St. George in Zemo Machkhaani village, Kiziki, is commonly referred to. Contrary to the previously expressed opinion that the name comes from Greek *arma, armaton* (carriage), the author argues that it originates from the name of Arimathea, a city mentioned in the New Testament, which from the 12th century was identified with the Palestinian city of Ramla, near Lydda.

Ekvtime Kochlamazashvili

Armathioni revisited

In response to Niko Nikolozishvili's article, Ekvtime Kochlamazashvili notes that despite the lack of direct evidence in support of his idea, Nikolozishvili's arguments appear convincing and reliable, unlike Kochlamazashvili's own assumptions on the links between Greek *arma, armaton* and *Armathioni*, justly refuted by Nikolozishvili. However, further research is needed to provide more solid evidence for Nikolozhishvili's finding.